სამხრეთ კავკასიის მე-10 მედია კონფერენცია

მედიის თავისუფლების სფეროში ეუთოს ვალდებულების გააზრება

თბილისი, საქართველო

11-12 ნოემბერი, 2013 წ.

მე-10 საიუბილეო დეკლარაცია

2013 წლის 11 და 12 ნოემბერს თბილისში გაიმართა სამხრეთ კავკასიის მედიის მე-10 კონფერენცია, რომელიც ორგანიზებული იყო მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის ოფისის მიერ, ეუთოს ბაქოსა და ერევნის ოფისებთან თანამშრომლობით.

ორდღიან ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის 80-ზე მეტმა ჟურნალისტმა, პარლამენტარმა, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენელმა და საერთაშორისო ექსპერტმა.

ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება 2004 წლიდან ყოველწლიურად იმართება თბილისში. წლების განმავლობაში კონფერენციაზე განიხილულ იქნა მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის „ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები“, „პლურალიზმი და ინტერნეტის მართვა“, „ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ახალი ტექნოლოგიები“, „ჟურნალისტების პროფესიული განათლება“ და სხვა.

მე-10 წლისთავის აღსანიშნავად კონფერენციაზე მიმოხილულ იქნა ეუთოს ვალდებულებები მედიის თავისუფლების სფეროში და მათი შესრულება რეგიონის ქვეყნების მიერ.

კონფერენციის მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ისეთ საჭირბოროტო საკითხებზე, როგორიცაა ჟურნალისტთა უსაფრთხოება, ინტერნეტის თავისუფლება, ინფორმაციის ხელმისწვდომობა და საზოგადროებრივ მაუწყებელთა და მარეგულირებელთა დამოუკიდებლობა. კონფერენციის მონაწილეებმა აგრეთვე იმსჯელეს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისა და მედიის თვითრეგულირების თემებზე.

კონფერენციის მონაწილეები:

1. მიესალმებიან იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ხელისუფლების, მედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში და მედიის თავისუფლების საკითხებზე იმსჯელეს თანამშრომლობის ატმოსფეროში.
2. გმობენ ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენელთა წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებსა და მუქარებს და მოუწოდებენ ხელისუფლებას, საჯაროდ დაგმოს ძალადობის ყოველი ასეთი შემთხვევა და უზრუნველყოს სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარება, რათა არ მოხდეს შიშისა და დაუსჯელობის გარემოს გაძლიერება.
3. მოუწოდებენ მთავრობებს, გააუმჯობესონ ეროვნული კანონმდებლობები და შეუსაბამონ ეუთოს ვალდებულებებს, თავი შეიკავონ ჟურნალისტური საქმიანობის სისხლის სამართლებრივი დევნისგან, მათ შორის ჟურნალისტების დაპატიმრებებისგან.

4. მოუწოდებენ მთავრობებს თავი შეიკავონ მედიისა თუ კომპიუტერული სისტემების საშუალებით გამოვლენილი ანტისემიტიზმის, ქსენობოფიისა და რასიზმის პროპაგანდის მხარდაჭერისგან, ასევე თავი შეიკავონ ექტრემიზმის შესახებ კანონების იმპლემენტაციისგან, რაც ზღუდავს მედიის თავისუფლებას.

5. მოუწოდებენ ხელისუფლებებს, რომ უზრუნველყონ ჟურნალისტებისა და ბლოგერების, ასევე ჟურნალისტიკაში ჩართული სხვა პირების მუშაობისთვის უსაფრთხო გარემო და აღიარონ, რომ გამოხატვის თავისუფლება.

6. ხაზს უსვამენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას და მოუწოდებენ მთავრობებს ხელი შეუწყონ ინფორმაციის უფრო ფართოდ გავრცელებას.

7. მხარს უჭერენ ინტერნეტის, როგორც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ღია და საჯარო ფორუმის იდეას და რეკომენდაციას აძლევენ ხელისუფლებას თავი შეიკაონ ინტერნეტში კონტენტის რეგულირებისგან.

8. ხაზს უსვამენ, რომ ხელისუფლების პასუხისმგებლობას წარმოადგენს ისეთი საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბება და ხელის შეწყობა, რომელიც შექმნის საზოგადოებრივი მაუწყებლების ეთიკურობის, პოლიტიკური, სარედაქციო და ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიებს.

9. მოუწოდებენ მთავრობებს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პერიოდში მოსახლეობას შესთავაზონ ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროები, ამასთან გაითვალისწინონ არასახელმწიფო და რეგიონული ტელევიზიებისა და რადიომაუწყებლების ინტერესები; გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები კონტენტის მრავალფეროვნების გაზრდისთვის და არ დაუშვან სამაუწყებლო კომპანიების საკუთრების კონცენტრაცია.

10. ხაზს უსვამენ თვითრეგულირების ორგანოების ეფექტურობის მნიშვნელობას. თვითრეგულირების ორგანოების მუშაობა უნდა ემყარებოდეს კონსულტაციებსა და პროფესიონალების ფართო ჩართულობას.

11. ხაზს უსვამენ მედიის თავისუფლებსი საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის ოფისის მიერ სამხერთ კავკასიის მედია კონფერენციების, მასტერ-კლასების, მრგვალი მაგიდების, ტრენინგების გაგრძელებას, და რეკომენდაციას უწევენ ჩამოაყალიობოს ცხადი მექანიზმი, რომელიც შეაფასებს ამ ღონისძიებებზე მიღებულ რეკომენდაციებს, რათა გაიზარდოს მათი ზემოქმედება მედიის თავისუფლებაზე.

11 ნოემბერი, 2013 წ.